**ხელშეკრულება №154**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

*ქ. გორი* **23 დეკემბერი 2020 წელი**

ერთის მხრივ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ417874973) (შემდგომში– „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი მახარე სორდიას (პ/ნ 48001005925) (შემდგომში – მიმწოდებელი), სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*1. ხელშეკრულების საგანი*

1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სპორტული მოდნებისა და დასასვენებელი ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები (CPV45112720).

*2. ხელშეკრულების ობიექტი და საერთო ღირებულება*

*2.1.*ხელშეკრულების ობიექტია თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის ბუნებრივ საფარიანი მინდვრის როტორული სარწყავი სისტემის ჩოთქების გაწმენდა, დარეგულირება და მონტაჟი .
2.2შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).
2.3.შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 575.00 (ხუთასსამოცდათხუთმეტი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით. საშემოსავლო გადასახადს იხდის შემსყიდველი ორგანიზაცია,

*3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა*

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი ფეიქრების ქ.8.

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

*5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);
5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.
5.3.ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

*6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1.შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

*7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი.

*9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

91.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებიდ გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოითხოვნებთან.

11.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"- ს შესყიდვების სპეციალისტი ავთანდილი ლობჟანიძე

*12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

*13.* მხარეთა რეკვიზიტები:

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი" | ფიზ.პირი მახარე სორდია |
| მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5 | მის. .თბილისი.ფეიქრების ქ.8. |
| საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა | საბანკო რეკვიზიტები:სს საქართველოს ბანკი |
| ბ/კოდი TRESGE22 | ბ/კ BAGAGE |
| ს/კ 417874973 | ანგ.GE74BG0000000277460800 |
| | პირადი ნომერი 48001005925 |

დირექტორი

Gia Isiani Digitally signed by Gia Isiani Date: 2020.12.23 12:05:42 +04'00'

------------------------------------ ------------------------------------

გია ისიანი მახარე სორდია

.